

შპს „კონდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები, სულ:	1601423	893815	989613	
ფულადი სახსრები	872241	310194	432734	3,1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	105972	137370	99040	
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	122413	106574	184756	
მარაგები	482629	336442	272562	3,2
სხვა მოკლევადიანი აქტივები	18168	3235	521	3,3
გრძელვადიანი აქტივები, სულ:				
ძირითადი საშუალებები	5372208	5709812	5976048	3,4
არამატერიალური აქტივები	2520	3337	4154	3,5
სულ აქტივები:	6976151	6606964	6969815	
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	819488	701901	704780	
სავაჭრო ვალდებულებები	435138	496251	577624	
საგადასახადო ვალდებულებები	209070	186941	107811	
მოკლევადიანი სესხები				
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	175280	18709	19345	3,6
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	258207	1173663	2627935	3,7
სულ კაპიტალი:	5898456	4731400	3637100	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი				
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	5898456	4731400	3637100	3,8
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6976151	6606964	6969815	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.				
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				


შპს „კონდი“

მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	2024	2023	
ამონაგები	12981995	11186509	3,9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-7325188	-6499969	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	5656807	4686540	
მიწოდების ხარჯები	-1779388	-1271896	3,10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1333825	-1131023	3,11
სულ საოპერაციო ხარჯები:	-3113213	-2402919	
საპროცენტო შემოსავალი	32133	8334	
დადებითი საკურსო სხვაობები	22163	2349	
სხვა შემოსავალი	4394	14088	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	58690	24771	
საპროცენტო ხარჯი	-43071	-146233	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-5642	-13802	
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-49054	-46009	
ზარალი მიმ. საშ. რეალიზაციიდან			
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-97767	-206043	
მოგება დაზღვევამდე:	2504517	2102349	
მოგების გადასახადის ხარჯი	-200619	-151207	
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	2303898	1951142	3,12
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	2303898	1951142	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი	4731400	3637100	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-1136842	-856842	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5898456	4731400	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.

დირექტორი  ირაკლი ბოჭორიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „კონდი“		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2602869	17510
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-2057344	-128598
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	545525	-111088
სავალუტო კურსის ეფექტი	16522	-11452
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	310194	432734
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	872241	310194
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.		
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი	
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

შპს „კონდი“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „კონდი“				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები				
მოკლევადიაში აქტივები, სულ:	1601423	893815	989613	
ფულადი სახსრები	872241	310194	432734	3,1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	105972	137370	99040	
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	122413	106574	184756	
მარაგები	482629	336442	272562	3,2
სხვა მოკლევადიანი აქტივები	18168	3235	521	3,3
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	5374728	5713149	5980202	
ძირითადი საშუალებები	5372208	5709812	5976048	3,4
არამატერიალური აქტივები	2520	3337	4154	3,5
სულ აქტივები:	6976151	6606964	6969815	
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	819488	701901	704780	
სავაჭრო ვალდებულებები	435138	496251	577624	
საგადასახადო ვალდებულებები	209070	186941	107811	
მოკლევადიანი სესხები				
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	175280	18709	19345	3,6
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	258207	1173663	2627935	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	258207	1173663	2627935	3,7
სულ კაპიტალი:	5898456	4731400	3637100	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი				
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	5898456	4731400	3637100	3,8
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6976151	6606964	6969815	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.				
დირექტორი _____			ირაკლი ბოჭორიშვილი	
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „კონდი“			
მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2024	2023	
ამონაგები	12981995	11186509	3,9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-7325188	-6499969	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	5656807	4686540	
მიწოდების ხარჯები	-1779388	-1271896	3,10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-1333825	-1131023	3,11
სულ საოპერაციო ხარჯები:	-3113213	-2402919	
საპროცენტო შემოსავალი	32133	8334	
დადებითი საკურსო სხვაობები	22163	2349	
სხვა შემოსავალი	4394	14088	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	58690	24771	
საპროცენტო ხარჯი	-43071	-146233	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-5642	-13802	
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-49054	-46009	
ზარალი ძირ. საშ. რეალიზაციიდან			
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-97767	-206043	
მოგება დაზეგვრამდე:	2504517	2102349	
მოგების გადასახადის ხარჯი	-200619	-151207	
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	2303898	1951142	3,12
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	2303898	1951142	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისი	4731400	3637100	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-1136842	-856842	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5898456	4731400	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.			
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს „კონდი“			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2024	2023	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2602869	17510	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-2057344	-128598	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	545525	-111088	
სავალუტო კურსის ეფექტი	16522	-11452	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	310194	432734	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	872241	310194	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 29.09.2025 წ.			
დირექტორი _____		ირაკლი ბოჭორიშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კონდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 22 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404497914, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორ. 4, ბ. 12. ფაქტობრივი მისამართი თბილისი, მიხა ხელაშვილის ქ.10 (ყოფილი: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი 51დ.) კომპანიის საფირმო სახელწოდებაა „საკონდიტრო ბელა“. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2015 წლის 2 სექტემბრიდან.

1.2. კომპანიის წილის მფლობელები არიან:

ირაკლი ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017011954) - 50%.

ბექა ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017016820) - 50%.

1.3. კომპანიის დირექტორია ირაკლი ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017011954)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია.

1.5. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2024 წელს შეადგენდა 160 ადამიანს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც

მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით;

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი

გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის

ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 6-7 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით

რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომელთათვის ეს დებულება ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან (სადაზღვევო კომპანიებისათვის - 2024 წლის 1 იანვრიდან).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2025 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,8068 ლარი;

1 EUR=2,9306 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,6894 ლარი;

1 EUR=2,9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,7020 ლარი;

1 EUR=2,8844 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 (ლარი)		ნაშთი 31.12.2023 (ლარი)		ნაშთი 31.12.2022 (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	29953,72		99225,82		87578,24
მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	842287,06		210967,89		345155,50
	872 241		310 194		432 734

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2024 (ლარი)		ნაშთი 31.12.2023 (ლარი)		ნაშთი 31.12.2022 (ლარი)
საქონელი	99537		85903		71645
ნედლეული და მასალები	306021		214029		192868
მზა პროდუქცია	19858		24225		
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	57214		12285		8049
	482629		336442		272562

3.3. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

	ნაშთი 31.12.2024 (ლარი)		ნაშთი 31.12.2023 (ლარი)		ნაშთი 31.12.2022 (ლარი)
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	4		15		0
წინასწარ გადახდილი გადასახადები	18 164		0		521
საპენსიო სააგენტოში წინასწარ გადახდილი თანხები	0		3 220		0
	18 168		3 235		521

3.4. ძირითადი საშუალებები:

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
	(ლარი)	(ლარი)		(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)	(ლარი)
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	663421	50980	4138599	15459	187024	81122	573208	5709812
დამატება		41051		11555		25186	155313	233104
შემცირება		41051						41051
ცვეთის და მორტიზაციის ხარჯი			190974	6816	52488	24497	254882	529658
ჩამოწერა-გასვლა							0	0
ნარჩენი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	663421	50980	3947625	20198	134536	81810	473638	5372208

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.5. არამატერიალური აქტივები:

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
	(ლარი)	(ლარი)
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3337	3337
დამატება		0
შემცირება		0
ცვეთის და მორტიზაციის ხარჯი	817	817
ჩამოწერა		0
ნარჩენი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2520	2520

3.6. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2024 (ლარი)	ნაშთი 31.12.2023 (ლარი)	ნაშთი 31.12.2022 (ლარი)
თანამშრომლების მიმართ ვალდებულება	146 644	0	0
მიღებული ავანსები	807	0	0
იჯარის მომწოდებლების მიმართ ვალდებულება	20 729	18 709	17 488
საპენსიო სააგენტოს მიმართ ვალდებულება	7 099	0	1 857
	175 280	18 709	19 345

3.7. გრძელვადიანი სესხები:

კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხები ევროში სს თიბისი ბანკიდან, რომლის მიზნობრივი დანიშნულება იყო საწარმო და საოფისე შენობის აშენება და კეთილმოწყობა.

ასევე აქვს სესხი ლარში.

ევროებში არსებული სესხების გადაფასება ხდება წლის ბოლოს, შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით ლარში.

	ნაშთი 31.12.2024 (ლარი)	ნაშთი 31.12.2023 (ლარი)	ნაშთი 31.12.2022 (ლარი)
გრძელვადიანი სესხი ევროში სს თიბისი ბანკი (Sesabanisi kursiT l ar Si)	98480	1029277	2278217
გრძელვადიანი სესხი ევროში სს თიბისი ბანკი (Sesabanisi kursiT l ar Si)			165810
გრძელვადიანი სესხი ლარში სს თიბისი ბანკი	159727	144386	183908
	258 207	1 173 663	2 627 935

3.8. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

3.9. ნეტო ამონაგები და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2024 წელს კომპანიის ამონაგები შედგებოდა წარმოებული საკონდიტრო ნაწარმის გაყიდვებისა და სხვა საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლისგან. მიღებულმა შემოსავალმა რეალიზაციიდან შეადგინა 12981995 ლარი.

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

	2024 წ. (ლარი)
გაყიდული საქონლის ხარჯი	466 570
ნედლეულის და მასალების ხარჯი	4 754 337
წარმოებაში დასაქმებულთა ხელფასის ხარჯი	1 410 548
საწარმოო შენობის და დანადგარების იჯარის ხარჯი	25 424
კომუნალური დანახარჯები	211 442
წარმოების ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	355 662
სხვა ხარჯი	101 205
	7325188

3.10. მიწოდების ხარჯები

	2024
	(ლარი)
ხელფასები (კონსულტანტები და მძღოლები)	864 481
ავტომობილების საწვავის ხარჯი	64 760
კომუნალური ხარჯი (მაღაზიები)	75 400
მაღაზიების იჯარის ხარჯი	565 023
ძირ. საშუალებების ცვეთა	67 381
ავტომობილების რემონტის ხარჯი	23 793
მიწოდების სხვა ხარჯები	118 551
	1 779 388

3.11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2024
	(ლარი)
ხელფასის ხარჯები (ადმინისტრაცია)	726 061
საიჯარო ქირა	12 600
კომუნალური ხარჯები	10 795
საკანცელარიო ხარჯები	16 573
კომუნიკაციის ხარჯები	14 467
საკონსულტაციო ხარჯები	24 031
ცვეთა/ამორტიზაცია	107 430
საგადასახადო ხარჯები (გადასახადი)	49 335
საბანკო ხარჯები	108 364
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯები	62 149
სხვა ხარჯები	202 021
	1 333 825

3.12. დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება

2024 წელს კომპანიას ქონდა მოგება 2303898 ლარი, განაწილებული წინა წლის მოგების ნაწილი (დივიდენდი) 1136842 ლარი, რომლის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 200619 ლარი.

3.13. სასამართლო დავები:

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში კომპანიის მენეჯმენტში მოხდა ცვლილება, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2024 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 29 სექტემბერს.